საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი



# ჩონგურს სიმები გ ა ვ უ ბ ი

ხალხური

თბილისი

1963

784.4 (479.22)

# ჩონგურს სიმები გავუბი

დამუშავებული - ა. მეგრელიძის მიერ
ტექსტი - ა. წერეთლის

ზომიერად




ჩონგურს სიმები გავუბი,
მოვმართე ნელა-ნელაო,
შევუხმატკბილე ერთმანეთს:
„ოდელა-დელა-დელაო“!

თავის ჰანგებზე, თავის ხმით
წკრიალებს ერთად ყველაო,
ერთი-მეორის თანხმობით:
„ოდელა-დელა-დელაო!“

ერთ მათგანიც რომ გაწყდეს,
მაშინვე უნდა შველაო,
რომ არ გაფუჭდეს ჩონგური:
„ოდელა-დელა-დელაო!“

ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი:
„ოდელა-დელა-დელაო!“

ერთობა ჩვენთვის ხატია,
მტრებისთვის სახრჩობელაო!..
მტერს „ვაი-დედა“ ვაძახოთ,
და ჩვენ ვსთქვათ „დელა-დელაო!“

FM 164/2
M 13451-8/2
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

3ლ

n19/695

FM 164/2

უფასო

მუს რედ. ს. ნასიძე          ლიტ. რედ. ე. დიდიმამიშვილი

შეკვეთა № 2370.          ფოტოცინკოგრაფია.          ტირაჟი 500.